ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 31

24 აგვისტო 2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახური - გაიოზ თალაკვაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა.

2. კომისიის წევრები: ლევან არველაძე, რამინა ბერიძე, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, გოჩა თევდორაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე კომისების წევრებს და გააცნო დღის წესრიგი.

1. *საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი: (№11-01182352243 23.08.2018) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“.*

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული გზების მოვლა-შეკეთებისა და კეთილმოწყობის პროგრამების ფარგლებში, ზოგიერთი რაიონი (გლდანი, ნაძალადევი, დიდუბე, საბურთალო, მთაწმინდა) ითხოვს მე-3 კვარტლით გათვალისწინებული ასიგნებების გადატანას მე-4 კვარტალში. გარდა ამისა რაიონული გამგეობები ითხოვენ კვარტალურ ცვლილებას „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის“

პროგრამებში, რასთან დაკავშირებითაც შეკითხვები ჰქონდათ კომისიის წევრებს: რამინა ბერაძეს, დავით უთმელიძეს, ირაკლი ზარქუას. მათ შეკითხვებზე რაიონების მიხედვით, გამგეობების მიერ საფინანსო საქალაქო სამსახურში წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე დაწვრილებით განმარტა გაიოზ თალაკვაძემ.

გარდა რაიონული გამგეობებისა კვარტალური ცვლილება მოითხოვა ჯანდაცვისა და სოციალურ მომსახურების საქალაქო სამსახურმა. კერძოდ „დაავადებათა სკრინინგის" ქვეპროგრამის (06 01 02) მესამე კვარტლის გეგმა იზერდება 300 000 ლარით, ხოლო „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების" პროგრამა (06 01 08) იზრდება 40 000 ლარით. საერთო ჯამში 4 443162 ლარის გადატანა ხდება მესამე კვარტლიდან მეოთხე კვარტალში.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრების უმრავლესობამ თანხმობა მისცეს წარმოდგენილ გადანაწილებებს.

მომხრე-6, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი „თბილისის მუნიციპლიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახური და რაიონის გამგეობები ითხოვენ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით მათზე მიკუთვნებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრების გადაწყვეტილებით:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილის დანართის შესაბამისად.**

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა